

FIF - YiB კავკასია - PCBG სესხი I

მდებარეობა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	56677
ბიზნეს სექტორი:	სადეპოზიტო კრედიტი (ბანკები)
შეტყობინების ტიპი:	კერძო
გარემოს დაცვის კატეგორია:	FI
დამტკიცების თარიღი:	28 ოქტომბერი, 2025
სტატუსი:	ელოდება დამტკიცებას
ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების თარიღი:	30 ოქტომბერი, 2025
ინფორმაციაზე წვდომის შესახებ დირექტივის 1.4.2 (iii) მუხლის თანახმად: „იმ პროექტებისთვის, რომლებიც დამტკიცებულია ბანკის მენეჯმენტის მიერ იმ შემთხვევებში, როდესაც დირექტორთა საბჭომ დამტკიცების უფლება მენეჯმენტს გადააბარა, PSD უნდა გამოქვეყნდეს ბანკის წევრ ქვეყანაში არაწინააღმდეგობის (no-objection) შეტყობინების პერიოდის დაწყებისთანავე, EBRD -ის დამფუძნებელი შეთანხმების 13 (iii) მუხლის შესაბამისად.“	

პროექტის აღწერა

„პროკრედიტ ბანკ საქართველოსთვის“ („PCBG“, ან „ბანკი“) გამოიყოფა 15 მილიონ ევრომდე ოდენობის არაუზრუნველყოფილი სესხი „ახალგაზრდები ბიზნესში“ (YiB) კავკასიის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ახალგაზრდების მიერ მართული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სესხების გაცემის მიზნით.

პროექტის მიზნები

YiB კავკასიისთვის პროგრამის ფარგლებში ეს ტრანზაქცია საქართველოსთვის პირველია, რითაც YiB-ის ჩარჩოს ახალი ქვეყანა ემატება. მოსალოდნელია, რომ ეს ინსტრუმენტი გაზრდის ახალგაზრდა მეწარმეებისა და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სესხის აღების შესაძლებლობას, ხელს შეუწყობს პროკრედიტ ბანკის შესაძლებლობების განვითარებას და უნარების გაზიარებას ბიზნესის ახალგაზრდა მფლობელებისთვის/მენეჯერებისთვის.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

ETI ქულა: 70

პროექტი ხელს უწყობს ფინანსური შუამავლების ჩარჩოს (FIF) მიზნების მიღწევას, **ინკლუზიური და კონკურენტუნარიანი** მახასიათებლების ხელშეწყობით:

ინკლუზიური: YiB კავკასიისთვის პროგრამის ფარგლებში, EBRD-ის მიზანია ახალგაზრდა მეწარმეების მიერ ფინანსურ მომსახურებაზე წვდომის არსებული ბარიერების დაძლევა და ახალგაზრდული საბანკო ბაზრის შექმნის ხელშეწყობა შემდეგი გზით: EBRD-ის დაფინანსებით, შეღავათიანი თანადაფინანსებით და დამატებითი ტექნიკური მხარდაჭერით, როგორც პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციების, ასევე, უშუალოდ ახალგაზრდული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად. პროგრამის ეს ქვეოპერაცია აჩვენებს, რომ მათ საჭიროებებზე მორგებული ფინანსური და არაფინანსური მომსახურების მიღების შედეგად, საქართველოში მოქმედი ახალგაზრდული მცირე და საშუალო საწარმოები ფინანსურად მიმზიდველ საბანკო სეგმენტად ჩამოყალიბდებიან.

კონკურენტუნარიანი: პროექტი მხარს დაუჭერს PCBG-ის მიერ საქართველოში კერძო ახალგაზრდული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სესხების გაცემას EBRD-ის დაფინანსებასთან შედარებით 1.4-ჯერ მეტი ოდენობით. მოსალოდნელია, რომ შემოთავაზებული ტრანზაქცია ხელს შეუწყობს კლიენტს, მცირე და საშუალო ახალგაზრდული საწარმოებისთვის უზრუნველყოს მათზე მორგებული დაფინანსება და/ან მიწოდების მექანიზმი. პროექტი ფოკუსირებული იქნება როგორც ახალი კლიენტების მოზიდვაზე, ასევე დედაქალაქის გარეთ რეგიონებში ახალგაზრდების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაზე. გარდა ამისა, შესაბამისი მცირე და საშუალო საწარმოების პირდაპირი მხარდაჭერა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კომპონენტის მეშვეობით გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას საწარმოს მუშაობის გაუმჯობესებისა და გაფართოების გზით.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

სს პროკრედიტ ბანკი საქართველო

პროკრედიტ ბანკი საქართველო განვითარებაზე ორიენტირებული საერთაშორისო პროკრედიტ საბანკო ჯგუფის წევრია, რომლის სათაო ოფისიც გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში მდებარეობს. ბანკი საქართველოს საბანკო სექტორში 1999 წლიდან მუშაობს და ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსურ საჭიროებებს ემსახურება. პროკრედიტ ბანკი 3,500 ბიზნესს და 6,861 კერძო კლიენტს ემსახურება - 6 ფილიალის, 5 მომსახურების პუნქტისა და თვითმომსახურების ზონების მეშვეობით საქართველოს ხუთ დიდ ქალაქში. 2025 წლის ივნისის მონაცემებით, ბანკი ქვეყნის

ცხრამეტ ბანკს შორის მეშვიდე ადგილზეა მთლიანი აქტივების მიხედვით, 2.0%-იანი საბაზრო წილით და 2.1%-იანი მთლიანი სესხებისა და დეპოზიტების წილით.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

15,000,000.00 ევრო

პროექტის მთლიანი ღირებულება

15,000,000.00 ევრო

დამატებითი ფაქტორები

პროექტის ფარგლებში დამატებითი ფაქტორებია:

- 1. დაფინანსების სტრუქტურა:** EBRD უზრუნველყოფს სესხის ვადიანობას, რომელიც აღემატება ბაზრის საშუალო მაჩვენებელს და აუცლებელია პროექტის სტრუქტურირებისთვის.
- 2. სტანდარტების განსაზღვრა:** კლიენტი მიისწრაფვის რომ გამოიყენოს/იყენებს EBRD-ის ცოდნას და გამოცდილებას შესაძლებლობების თანასწორობის/ინკლუზიურობის სტანდარტებთან დაკავშირებით (მაგ., შრომის სტანდარტების დაცვა, რომელიც სცილდება გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის PR2-ში დადგენილ დებულებებს, ყოვლისმომცველი და ინსტიტუციური კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების შემუშავება).
- 3. ცოდნა, ინოვაციები და შესაძლებლობების განვითარება:** EBRD უზრუნველყოფს გამოცდილებას, ინოვაციას, ცოდნას და/ან უნარებს, რაც მნიშვნელოვანია პროექტის მიზნების დროული რეალიზაციისთვის, მათ შორის, კლიენტის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობისთვის.
- 4. სტანდარტების განსაზღვრა:** პროექტებისა და კლიენტების დახმარება უფრო მაღალი სტანდარტების მიღწევის პროცესში: კლიენტს მიისწრაფვის რომ გამოიყენოს/იყენებს EBRD-ის ცოდნასა და გამოცდილებას უფრო მაღალ ფინანსური სტანდარტებთან დაკავშირებით, მათ შორის, ფინანსური კოვენანტების მეშვეობით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია FI (ESP 2024). პროგრედიტ ბანკი საქართველო (PCBG) EBRD-ის არსებული კლიენტია. კლიენტის საქმიანობა შეესაბამება ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური მოთხოვნების (ESR) მე-2, მე-4 და მე-9 პუნქტებს მიმდინარე პროექტების ფარგლებში. მიღებული თანხა მოხმარდება ახალგაზრდების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სესხების გაცემას. მოსალოდნელია, რომ ქვეპროექტებს დაბალი გარემოს დაცვისა და სოციალური (E&S) რისკი ექნება. გარემოს დაცვისა და სოციალური რისკები ძირითადად შეეხება დაფინანსებული ქვესესხებიდან წარმოშობილ პოტენციურ შედეგებს და დაკავშირებულია მიწოდების ჯაჭვთან, შრომისა და შრომის ჯანდაცვის და უსაფრთხოების საკითხებთან.

მწვანე შეფასება

პროექტი შეფასებულია როგორც თანხვედრაში მყოფი პარიზის შეთანხმებასთან, ბანკის პარიზის შეთანხმების არაპირდაპირი დაფინანსების მეთოდოლოგიის საფუძველზე: (i) მიღებული თანხის მკაფიოდ განსაზღვრული გამოყენება (ii) შესაბამისი გამონაკლისები და (iii) კლიენტის ვალდებულება, ითანამშრომლოს EBRD-თან, რათა ფინანსური ნაკადები თავსებადი იყოს სათბურის გაზების დაბალი ემისიებისა და კლიმატისადმი მდგრად განვითარებისკენ გადასვლასთან.

ტექნიკური თანამშრომლობა და გრანტის დაფინანსება

ტექნიკური თანამშრომლობა („TC“): პროგრამა მოიცავს ორ TC კომპონენტს: (i) PCBG-ზე მორგებული შესაძლებლობების განვითარება, დაფინანსებული EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდის („SSF“) მიერ; და (ii) SSF-ის მიერ დაფინანსებული TC ქვემსესხებლებისთვის, რომელიც განხორციელდება მცირე ბიზნესისთვის საკონსულტაციო („ASB“) პროგრამის მიერ, დაფინანსებასთან ერთად, არაფინანსური მომსახურების („NFS“) სახით, როგორცაა კონსულტაცია, ტრენინგები, ელექტრონული სწავლება, კავშირების დამყარება, მენტორობა, დიაგნოსტიკური აქტივობები და სხვა ცოდნასთან დაკავშირებული პროდუქტები ახალგაზრდა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის.

შერეული შეღავათიანი დაფინანსება: შედეგზე დაფუძნებული კომპენსაცია („RBC“), დაფინანსებული EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდის („SSF“) მიერ PCBG-ის სასარგებლოდ, YiB სესხის ოდენობის 3%-მდე, რათა კლიენტს ნაწილობრივ აუნაზღაურდეს YiB სესხების გაცემის მდგრადი გაფართოების პროცესთან დაკავშირებული საწყისი ინვესტიციები.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

სს „პროკრედიტ ბანკი“, საქართველო

geo.info@procredit-group.com

(+995 32) 220 2222

<https://www.procreditbank.ge/en>

აღ. ყაზბეგის გამზ 21, თბილისი, საქართველო 0160

PSD ბოლოს განახლდა

გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია [აქ](#).

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ [EBRD Procurement](#).

ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის](#) საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

[ESP](#)-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია [ESP](#)-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით,

წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ [ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს](#).

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით](#).

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში [გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის](#) კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ [პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს](#), IPAM-ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა [წარადგინოთ მოთხოვნა](#) განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM-ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.